ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-56

„ 9 „ თებერვალი 2021 წ.

ქალაქ თბილისში, 2021 წლის 9-17 თებერვალს „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ,,ეკო-ტურისტული და საფეხმავლო მიმართულებები“ ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ და „პ“ ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 8 თებერვალს შპს ,,რუსუდან ჯაფარიძე“ (ს/ნ 404903887) № 10/01210391309-21 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისში, 2021 წლის 9-17 თებერვალს „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ,,ეკო-ტურისტული და საფეხმავლო მიმართულებების“ გამართვასთან დაკავშირებით მოწვეული სპეციალისტების ტრანსპორტირების ხარჯის, დარბაზის იჯარა და კვებითი გამასპინძლება 8500 (რვა ათას ხუთასი) ლარის ფარგლებში.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროგრამით „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა“ (კოდი: 04 08) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200